# მჯერა, მომავლის აღზევება რომ უწერია...

შეუდარებელს სამშობლოს ჩემსას,
დღეს მჩივანს, მტკივანს და მტირალს ვხედავ,
სისხლის წვეთები ჭრილობებს სდიან,
მაგრამ ჯიშს მისას დამშვენებულს ტრადიციებით,
ძლიერ სულს მისას, გაუტეხავს და კაცთმოყვარეს,
მჯერა, მომავლის აღზევება რომ უწერია.

საგიორგობოდ, საბერძნეთში მოქმედმა ბერძნულ-ქართულმა საზოგადოებამ „დიოსკურია“ („მშვიდობიანი, დიალოგის აფხაზეთი“) საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს საჩუქრად გადასცა შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანიის ROCHE-ს პოლივიტამინები „SUPRADYN“, რომელთა საერთო რაოდენობა 1008 ცალია (8 ყუთი) და რომელიც საქართველოში გემ „დიოსკურიით“ გამოიგზავნა. აღნიშნული პრეპარატი ათეულობით დასახელების ვიტამინსა და მინერალს შეიცავს და იგი ერთჯერადად, ერთი თვის მანძილზე საკვებადაა განკუთვნილი სამხედრო-საზღვაო ძალების მებრძოლთათვის.

ბოლო წლებში, ბედის უკუღმართობის გამო, საბერძნეთის მადლიანმა მიწამ ათასობით ქართველი შეიფარა და საარსებო წყარო გაუჩინა მათ ოჯახებს. ათასი მადლობა ამისათვის ბერძენ ხალხს. ბერძენთა და ქართველთა კეთილგანწყობილი ურთიერთდამოკიდებულებანი არახალია, თავის დროზე ხომ ქართველებმაც გულითადად გაუღეს თავიანთი სამშობლოსა და გულის კარი ბერძნებს, რომელთაც დღემდე მეორე სამშობლოდ საქართველო მიაჩნიათ.



აბილი ჯეიმსანი და
ანდილ მიქაბერიძე

ამჯერად „ელადას“ საშუალებით გვინდა მადლობა ვუთხრათ ქართველების დიდ მეგობარს, საქართველოს კულტურისა და ტრადიციების დიდ თაყვანისმცემელს, ფარმაცევტ ნაბილი ჯეიმსანს და შვეიცარიულ-ბულგარული ფირმის „ROCHE“-ს წარმომადგენლებს, რომლებმაც უკანასკნელი 2 თვის მანძილზე 20 ათასამდე დოლარის საერთო ღირებულების პოლივიტამინი გააგზავნეს საჩუქრად საქართველოში.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორის, ბ-ნ ავთანდილ მიქაბერიძის დამსახურება შვეიცარიული პრეპარატის საქართველოსთვის საჩუქრად გადაცემის საქმეში. პრეპარატი უკვე დარიგდა აფხაზეთიდან ლტოლვილ ქალთა კონსულტაციებში და ზესტაფონის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში. ბოლო საჩუქარს, როგორც უკვე გითხარით, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები მიიღებენ.

ბედნიერ ნაოსნობას ვუსურვებთ გემ „დიოსკურიას“, რომელიც ამჯერადაც, გიორგობის დღეებში, ბერძენ-ქართველთა მეგობრობის მაცნედ შეცურდა შავ ზღვაში და ქართველთათვის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი სიმხნევის საპატიო ტვირთიც მოაქვს.

**შორენა შენგელია**

ΓΕΩΡΓΙΑΝΟ ΙΝΣΤΙΤΟΥΤΟ ΑΘΗΝΩΝ
GEORGIAN INSTITUTE AT ATHENS
40, V. Constantinou Ave. GR 116 35 Athens Greece Tel/Fax +30 1 72 11 226

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს,
ვიცე-ადმირალ, ბატონ **გიგლა ირემაძეს**

ათენი, გიორგობა 2004 წელი

ღრმადპატივცემულო ბატონო **გიგლა**,

საბერძნეთში მოქმედი ბერძნულ-ქართული საზოგადოება **«დიოსკურია»**-ს (**«მშვიდობიანი, დიალოგის აფხაზეთი»**) სახელით, სამხედრო ხომალდ **«დიოსკურია»**-ს ათენიდან გასვლასთან დაკავშირებით, გვაქვს პატივი უდიდესი პატივისცემით გადმოგცეთ ჰუმანიტარული ტვირთი, შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანია ROCHE-ს პოლივიტამინები – «Supradyn». აღნიშნული პრეპარატი 32 დასახელების ვიტამინებისა და მინერალების შემცველია და საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მოზარდთათვის საკვების დამატებად და ენერგიის აღსადგენად.

ვფიქრობთ, დასახელებული ვიტამინები (8 ყუთი, საერთო მოცულობით 1008 ც.), რომელიც ჩვენი დიდი სიყვარულის, იმედისა და სიამაყის მცირე გამოხატულებაა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მიმართ, შესაძლებელია, ერთჯერად (ერთი თვის მანძილზე), დამატებით საკვებად გამოდგეს თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ბრიგადის მებრძოლთათვის.

ბატონო **გიგლა**, გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად კეთილდღეობასა და სამსახურეობრივ დიდ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საიმედო დაცვისა და წინსვლის საქმეში. წმინდა გიორგის მადლითა და წინამძღოლობით, [illegible] აყვავებული და განათლებული საქართველო.

ათენიდან საქართველოში მიმავალ სამხედრო ხომალდ **«დიოსკურია»**-ს ვულოცავთ ნაოსნობას, ერთად, მშვიდობიანად შევხვედროდეთ ისტორიულ დიოსკურიაში – ჩვენს საყვარელ სოხუმში.

საზოგადოება **«დიოსკურია»**-სა და **ათენის ქართული ინსტიტუტის** სახელით.

ავთ. მიქაბერიძე

ავთანდილ მიქაბერიძე
ინსტიტუტის დირექტორი